

ეკონომიკური სირთულეები თურქეთში  
ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა

No 10

ზურაბ ბატიაშვილი

თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, თურქეთის ეკონომიკა 2020 წელს, პანდემიის მიუხედავად, 1,8%-ით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა თურქეთს დიდ ფასად დაუჯდა. სახელმწიფომ 2020 წელს პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების (განსაკუთრებით მძიმე იყო მეორე კვარტალი, როდესაც დაახლოებით 10%-ით შემცირდა ქვეყნის ეკონომიკა) დაძლევის მიზნით გასცა ათეულ მილიარდობით ლირის მოცულობის სესხები; ამავე დროს ათეულ მილიარდობით აშშ დოლარის რეალიზაცია მოახდინა (2019 წლის თებერვლიდან 2020 წლის სექტემბრამდე რეზერვებიდან დაიხარჯა დაახლოებით 120 მილიარდი აშშ დოლარი) თურქული ლირის კურსის შენარჩუნების მიზნით.

უმუშევრობის ოფიციალური დონე 13% გახდა (ამასთან, ვარაუდობენ, რომ არაოფიციალურად ეს მონაცემი კიდევ უფრო დიდია).

ეკონომიკის სტიმულაციის პაკეტი და მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის მატებამ 15%-მდე გაზარდა ინფლაცია, რაც ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ლირის კურსზე მაინც უარყოფითად აისახა: ამ მომენტისთვის 1 აშშ დოლარის ღირებულება 7,53 თურქულ ლირას შეადგენს (შედარებისთვის, შარშან ამ დროს 1 აშშ დოლარი 6,09 თურქული ლირა ღირდა).



თურქული ლირის დევალვაცია კი, თავის მხრივ, ნიშნავს თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) შემცირებას აშშ დოლარში დაანგარიშებისას. 2020 წელს თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 43 მილიარდი აშშ დოლარით შემცირდა და 717 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (შედარებისთვის, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2019 წელს 17,5 მილიარდი აშშ დოლარი იყო).

ეს კი ისეთი ციფრია თურქეთის ეკონომიკისთვის, რომელმაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი G-20-ში წევრობის საკითხი (თუმცა, ჯერჯერობით ყველა ქვეყანას არ აქვს დათვლილი 2020 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემები).

ამ ციფრების ფონზე ბუნებრივია, რომ შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე და ის 8 599 აშშ დოლარი გახდა. ეს მონაცემი ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 2 000 აშშ დოლარით შემცირდა, რაც თითოეული მოქალაქის ჯიბეზე აისახება უარყოფითად.



ამასთან, მთელი 2020 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ინვესტიციების გადინება თურქეთიდან, რამაც ციფრებში 5,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ყველაზე გახმაურებული შემთხვევა იყო გერმანული Volkswagen-ის გადაწყვეტილება, რომელმაც თურქეთ-ევროკავშირის დაპირისპირების გამო გადაიფიქრა თურქეთში საავტომობილო ქარხნის აგება (ამ ინვესტიციის მოცულობა 1,7 მილიარდი აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო).

ცალკე თემაა საგარეო ვალის დიდი მოცულობა, რომელიც თურქულ კერძო თუ საჯარო სექტორს დაუგროვდა უცხოური საფინანსო ინსტიტუტების მიმართ. ამ მიმართულებით,

საერთო ჯამში, მომავალ 12 თვეში გადასახდელია 189 მილიარდი აშშ დოლარი. საგარეო ვალი კი, საერთო ჯამში, 435 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 60%-ია. ეს ფაქტორები კი დამატებითი წნეხის ქვეშ ამყოფებს ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი თურქეთის ეროვნული ვალუტის კურსს.

ეკონომიკური სირთულეები თურქეთში თითქმის ყოველთვის აისახება პოლიტიკურ პროცესებზეც. ასე, მაგალითად, ამ სირთულეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2019 წელს ჩატარებულ ადგილობრივი არჩევნებისას ორ დიდ მეგაპოლისში – სტამბოლსა და ანკარაში – ოპოზიციის წარმომადგენლების გამარჯვებაში.

თურქეთის ეკონომიკის მდგომარეობა მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რადგან ეს ქვეყანა წლების განმავლობაში ჩვენი ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორია. ამასთან, საქართველოს ათეულ ათასობით მოქალაქე ცხოვრობს და მუშაობს თურქეთში, რომლებსაც პირდაპირ ეხებათ თურქეთის ეკონომიკაში არსებული სირთულეები. შემდგომში კი ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკაზეც აისახება.